

იურიდიული პირები

საწარმო

საგადასახადო კოდექსის მიხედვით საწარმოდ ითვლება ისეთი სუბიექტები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ამგვარი საქმიანობის განხორციელების მიზნით, მათ მიეკუთვნებიან:

- იურიდიული პირები (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი);
- უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები (მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი), ასევე უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებები;
- სხვა გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები.


➤ საწარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური საწარმო.

➤ საქართველოს საწარმოდ ითვლება საწარმო, რომლის მართვის ან/და საქმიანობის ადგილი საქართველოშია. სხვა დანარჩენი საწარმოები ითვლება უცხოურ საწარმოებად.

საწარმოს საქმიანობის ადგილი

საწარმოს საქმიანობის ადგილის განსაზღვრისას საგადასახადო ორგანოს მიერ მხედველობაში მიიღება განსაზღვრული გარემოებები (იხ. სქემა № 1).

საწარმოს საქმიანობის ადგილის განსაზღვრა



სქემა № 1

საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან პირველი, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში რიგით შემდგომი და ა.შ.


გაერთიანებების, ამხანაგობების ან სხვა მსგავსი წარმონაქმნების საქმიანობის ადგილად ითვლება ხელშეკრულების მონაწილე იმ პირის საქმიანობის ადგილი, რომელსაც ერთობლივი ხელშეკრულებით აკისრია საწარმოს მართვა.

- თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის ერთობლივი საქმიანობის მმართველი პირი, მაშინ ამ გაერთიანების საქმიანობის ადგილად ითვლება ხელშეკრულებაში მონაწილე საქართველოს საწარმოს საქმიანობის ადგილი ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- თუ ხელშეკრულებაში მხოლოდ რეზიდენტი ფიზიკური პირები მონაწილეობენ და ისინი ერთად უძღვებიან საერთო საქმეს, მაშინ ამ საწარმოს საქმიანობის ადგილი განისაზღვრება მონაწილეთა მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე, ხოლო ასეთი მონაცემების არარსებობის ან საეჭვო მონაცემების წარდგენის შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოში არსებული მონაცემების საფუძველზე.
- გაერთიანებების, ამხანაგობების ან სხვა მსგავსი წარმონაქმნების გადასახადებთან დაკავშირებული საკითხების მართვა უნდა დაეკისროს ხელშეკრულების მონაწილე საქართველოს საწარმოს ან რეზიდენტ ფიზიკურ პირს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიუხედავად იმისა, ვინ მართავს საწარმოს საქმეებს.

საწარმოს მართვის ადგილი

საწარმოს მართვის ადგილის განსაზღვრისას საგადასახადო ორგანოს მიერ მხედველობაში მიიღება განსაზღვრული გარემოებები (იხ. სქემა № 2).

საწარმოს მართვის ადგილის განსაზღვრა



სქემა №2

საწარმოს მართვის ადგილად ითვლება ის ადგილი საიდანაც საწარმოს დირექტორატი ან სხვა მმართველობითი ორგანო ახორციელებს თავის ფუნქციებს საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდება, დებულება, ხელშეკრულება) შესაბამისად. საყურადღებოა, რომ მართვის ადგილის დადგენისას გამოიყენება მხოლოდ ეს წესი და მხედველობაში არ მიიღება საწარმოს უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოებისა (მაგ.: სამეთვალყურეო საბჭო, აქციონერთა კრება და სხვა) და საწარმოს შემოსავლების მიღების ადგილები.

საწარმოს მართვის ადგილად ითვლება საწარმოს მმართველობითი ორგანოს (ადმინისტრაცია, დირექცია, გამგეობა, ცენტრალური ბუღალტერია ან მსგავსი ორგანო) საქმიანობის ადგილი იმ შემთხვევაში თუ:

- საწარმოს არ გააჩნია მმართველობითი ორგანო;
- მმართველობით ორგანოს არ გააჩნია საქმიანობის მუდმივი ადგილი;
- მმართველი უშუალოდ არ ახორციელებს საწარმოს მართვას.

თუ საწარმოს მართავს სხვა საწარმო ან ფიზიკური პირი, მაშინ მართვის ადგილად ითვლება მმართველი საწარმოს საქმიანობის ადგილი, მმართველი ფიზიკური პირის შემთხვევაში კი ამ პირის საცხოვრებელი ადგილი. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ აღნიშნული წესი მოქმედებს მიუხედავად იმისა მმართველობას სხვა საწარმო ან ფიზიკური პირი ახორციელებს ხელშეკრულების ან გადაწყვეტილების საფუძველზე თუ ფაქტობრივად.

- გაერთიანებების, ამხანაგობებისა და სხვა მსგავსი წარმონაქმნების მართვის ადგილად ითვლება მისი საქმიანობის ადგილი.

მუდმივი დაწესებულება

საქართველოში ფუნქციონირებენ უცხოური საწარმოები, რომლებსაც გააჩნიათ მუდმივი დაწესებულებები. უცხოური საწარმოს ან/და არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დაწესებულებად ითვლება ის ადგილი, რომლის მეშვეობითაც ეს პირი ნაწილობრივ ან მთლიანად ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე საწარმოების ფასიანი ქაღალდების, კაპიტალის წილის ან სხვა რაიმე საკუთრების ფლობის ფაქტს. მუდმივ დაწესებულებას უთანაბრდება:

- სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყოობო ობიექტი და მათთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობის განხორციელება;
- დანადგარი ან კონსტრუქცია, საბურღი დანადგარი ან ხომალდი, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი რესურსების დასაზვერად, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობის განხორციელება;
- მუდმივი ბაზა, სადაც არარეზიდენტი ფიზიკური პირი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას;
- უცხოური საწარმოს მართვის ადგილი, ფილიალი, წარმომადგენლობა, განყოფილება, ბიურო, ოფისი, სააგენტო, საამქრო, საბადო, კარიერი, ბუნებრივი რესურსების მოპოვების სხვა ადგილი, ნებისმიერი სხვა ქვედანაყოფი ან ამ საწარმოს საქმიანობის სხვა ადგილი.

- აღნიშნული დებულებები არ ვრცელდება „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მომსახურების გაწევაზე.

უცხოური საწარმოს მუდმივ დაწესებულებად ითვლება აგრეთვე ამ საწარმოს სახელით ან/და მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედი სხვა პირის მიერ საწარმოს 3 თვეზე მეტი ხნით მართვა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც უცხოური საწარმო ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი საქართველოში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული პროფესიული სტატუსის მქონე შუამავლის, აგენტის ან ბროკერის მეშვეობით.

აღნიშნული პირი არ არის უფლებამოსილი აწარმოოს მოლაპარაკებები ან ხელი მოაწეროს რაიმე დოკუმენტებს უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის სახელით.

მუდმივ დაწესებულებას აგრეთვე არ წარმოშობს უცხოური საწარმოს და არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მხოლოდ:

- ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დადების ფაქტი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე;
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა საწარმოში ან ორგანიზაციაში თანამშრომლის მივლინების ფაქტი, თუ იგი მოქმედებს მხოლოდ იმ საწარმოს სახელით და იცავს იმ საწარმოს ინტერესებს, სადაც იგი მიაგლინეს;
- საქართველოს საწარმოს ან ორგანიზაციის კონტროლირების ფაქტი;
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დაწესებულების გამოყენება საქონლისა და მარაგების (სხვა პირის მიერ მისი გადამუშავების მიზნით) შენახვის, ასევე საქონლის დემონსტრაციის, შესყიდვის, ინფორმაციის შეგროვების, დამხმარე ხასიათის სხვა საქმიანობების განხორციელების, სესხის გაცემის, საქონლის მიწოდებასთან ან ტექნიკური ხასიათის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადების ან/და ხელმოწერის მიზნით.

საქართველოში უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულების რეგისტრაციას ახდენს საგადასახადო ორგანო, რომელიც აწარმოებს შესაბამის რეესტრს. რეგისტრაციისა და რეესტრის წარმოების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

➤ **მუდმივი დაწესებულების რეგისტრაციისთვის არ გადაიხდებიან სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა გადასახდელი.**

საქართველოში მუდმივ დაწესებულებად ითვლება პირი ზემოხსენებული რეგისტრაციის, შესაბამისი უფლებამოსილების მინდობის ან წარმომადგენლობითი საქმიანობის განხორციელების მომენტიდან.

ორგანიზაცია

ორგანიზაცია შეიძლება იყოს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაცია (გაერთიანება), დაწესებულება, რომელიც არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან შექმნილია და მოქმედებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის საქართველოში არსებული ფილიალი ან სხვა ანალოგიური ქვედანაყოფი¹. ორგანიზაცია ასევე შეიძლება იყოს საბიუჯეტო ორგანიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კორპორაცია, დაწესებულება.

¹ მათი მეშვეობით ორგანიზაციები მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებენ საქმიანობას (რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით);

- **ორგანიზაციის საქმიანობისა და მართვის ადგილის განსაზღვრა, ასევე მისი საქართველოს ან უცხოური ორგანიზაციისთვის მიკუთვნება ხდება იმავე წესით, რომელიც დადგენილია საწარმოსთვის.**

თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მაშინ მისი ქონების და საქმიანობის ნაწილი, რომელსაც ამ მიზნებისთვის იყენებს, ჩაითვლება საწარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილში სადაც ამის გამიჯვნა შეუძლებელია, ამ გაანგარიშებისთვის გამოიყენება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი.

საქველმოქმედო ორგანიზაცია

საქველმოქმედო ორგანიზაცია არის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების 1 წლიანი გამოცდილება და რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქველმოქმედო ორგანიზაცია შესაძლოა ასევე ახორციელებდეს დამატებით ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს მის ძირითად მიზნებს.

- **საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო ადგილსამყოფელის მიხედვით (იხ. ფინანსთა მინისტრის ბრძანება № 149).**

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება ხდება შესაბამისი წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე, რომელშიც მიეთითება საქველმოქმედო ორგანიზაციის:

- სახელწოდება;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- ძირითადი მიზნები;
- უკანასკნელი წლის საქმიანობის მიმართულებები;
- ხელმძღვანელი ორგანოსა და ფილიალის მისამართები.


განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- ორგანიზაციის წესდების ასლი;
- სამოქალაქო რეგისტრაციის ასლი;
- უკანასკნელი წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს მისი საქმიანობის აღწერას;
- დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული უკანასკნელი წლის ფინანსური დოკუმენტები.

შესაბამის საგადასახადო ორგანოში განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენიდან 1 თვის ვადაში უფლებამოსილი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ (იხ. სქემა № 3).

- **თუ დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული სტატუსი ჩაითვლება მინიჭებულად.**
- **საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭება უვადოდ.**

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება



სქემა № 3

სტატუსის მინიჭების შემდგომ ორგანიზაციას გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, რომელშიც აღინიშნება:

- ორგანიზაციის სახელწოდება;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- სტატუსი;
- ხელმძღვანელი ორგანოს მისამართი;
- სტატუსის მინიჭების თარიღი;
- სტატუსის საიდენტიფიკაციო ნომერი.

სტატუსის მინიჭებისთანავე საქველმოქმედო ორგანიზაცია ვალდებულია ყოველი წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ბოლო წლის: საქმიანობის პროგრამული ანგარიში, ფინანსური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები.

- ფინანსური და პროგრამული ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.
- დაუშვებელია საქველმოქმედო ორგანიზაციის მოგებისა და აქტივების განაწილება ორგანიზაციის წევრებს, დამფუძნებლებს, გამგეობისა და კურატორიუმის წევრებს შორის.

საქველმოქმედო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს ან პირის გადაწყვეტილებით ქონება გადაეცემა მსგავსი მიზნების მქონე საქველმოქმედო ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას. სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

- საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის ჩამორთმევას ახდენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი საგადასახადო ორგანოს წარდგინებით.

საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი უქმდება ორგანიზაციის ინიციატივით ან ჩამორთმევის შემთხვევაში. ჩამორთმევის მიზეზი შესაძლოა იყოს საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან მისთვის სამოქალაქო რეგისტრაციის შეწყვეტა. საქველმოქმედო ორგანიზაციას უფლება აქვს ჩამორთმეული სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადება შეიტანოს სტატუსის ჩამორთმევის მიზეზის აღმოფხვრიდან არანაკლებ 1 წლის გასვლის შემდეგ.

- სტატუსის ჩამორთმევის შემთხვევაში საქველმოქმედო ორგანიზაცია ვალდებულია დააბრუნოს სტატუსიდან გამომდინარე საგადასახადო შეღავათებით მიღებული სარგებლის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია მოთხოვნების დარღვევასთან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აწარმოებს საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრს. რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

- ორგანიზაციის სახელწოდება;
- ხელმძღვანელი ორგანოს, ფილიალებისა და წარმომადგენლობების მისამართები;
- ძირითადი მიზნები;
- სტატუსის მინიჭების თარიღი;
- მმართველობის უმაღლესი ორგანოს ყველა წევრის ვინაობა და მისამართები.

აღნიშნული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში საქველმოქმედო ორგანიზაცია ვალდებულია ცვლილების შესახებ წერილობით აცნობოს საგადასახადო ორგანოს ცვლილებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში.

- საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ბაღასახადები იურიდიული პირებისთვის

(დამატებითი ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების შესახებ იხილეთ მისამართზე www.bcnge.ge)

მოგების გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად მოგების გადასახადის გადამხდელად ითვლება საქართველოს საწარმო ან ორგანიზაცია. მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 20 %, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს სანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

საწარმოები/ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებული არიან მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- არა უგვიანეს 15 მაისისა – 25%;
- არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25%;

- არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25%;
 - არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25%.
- გადასახადის გადამხდელი, რომელსაც გასული საგადასახადო წლის განმავლობაში არ გააჩნდა დასაბეგრი შემოსავალი (მოგება), მიმდინარე გადასახადებს არ იხდის.

საშემოსავლო გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად თუ იურიდიულ პირს ჰყავს დაქირავებული გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირი იგი ვალდებულია გაცემული ხელფასიდან დაუკავოს საშემოსავლო გადასახადი და გადაიხადოს ბიუჯეტში. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 12 % და დეკლარაციის წარდგენა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. დღგ-ს განაკვეთი შეადგენს 18 % და დეკლარაციის წარდგენა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვეს.

- პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, დღგ-ის გადამხდელად ითვლება მხოლოდ ამ იმპორტზე.

პირი, რომლის დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს და ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში, იგი დღგ-ს გადამხდელად ითვლება რეგისტრაციისათვის საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენის ვალდებულების მომდევნო დღიდან.

აქციზი

საგადასახადო კოდექსის თანახმად აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

- აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში – თავის მიერ წარმოებულ საქონელზე;
- ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს – თავის მიერ განხორციელებულ ექსპორტზე;
- ახორციელებს ბუნებრივი აირივანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის – ასეთ მიწოდებაზე.

აქციზით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და საქართველოში აქციზური საქონლის იმპორტი. აქციზით დასაბეგრი ოპერაციებია:

- საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის გამოყენება არააქციზური საქონლის წარმოებისათვის;

- მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის გადაცემა დამკვეთისათვის;
- აქციზური საქონლის ექსპორტი;
- ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის;
- სხვ.

აქციზის განაკვეთი დიფერენცირებულია საქონლის ნომენკლატურისა და ზომის ერთეულის მიხედვით და დეკლარაციის ჩაბარება ხორციელდება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის.

საბაჟო გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად საბაჟო გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს. საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადააკეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საგადასახადო კოდექსი ადგენს საბაჟო გადასახადის დიფერენცირებულ განაკვეთებს სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. საბაჟო გადასახადის განაკვეთი შესაძლოა იყოს 12% და 5%, ასევე დადგენილია ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთები სხვადასხვა საქონელზე. საბაჟო დეკლარაციის შევსება ხდება საბაჟო ტერიტორიაზე.

სოციალური გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად სოციალური გადასახადის გადამხდელად ითვლებიან:

- დამქირავებელი;
- საწარმო/ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს საგადასახადო ორგანოში გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს.

დამქირავებლის შემთხვევაში სოციალური გადასახადით დაბეგვრის ობიექტია ხელფასი. ხოლო საწარმოს/ორგანიზაციის შემთხვევაში, რომელიც საქართველოში გაწეულ მომსახურებას უნაზღაურებს საგადასახადო ორგანოში გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს – მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საზღაური ან სარგებელი.

➤ სოციალური გადასახადის განაკვეთი შეადგენს დაბეგვრის ობიექტის 20 პროცენტს.

დამქირავებლის და საწარმო/ორგანიზაციის შემთხვევაში სოციალური გადასახადი გადაიხდება დაქირავებულისთვის ხელფასის ან სხვა მომსახურების ანაზღაურების გაცემისთანავე, ხოლო, თუ ხელფასები გაიცემა ბანკის საშუალებით – დამქირავებელი შრომის ასანაზღაურებლად თანხების მოთხოვნასთან ერთად ბანკში წარადგენს საგადასახადო დავალებას

გადასახადის გადარიცხვის თაობაზე. გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დავალების წარდგენის გარეშე ბანკი ხელფასის თანხას არ გასცემს.

- გადასახადის გადამხდელის მიერ სოციალური გადასახადი გამოიანგარიშება ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის და საგადასახადო ორგანოებს წარედგინება დეკლარაცია.
- საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა ხდება საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციასთან ერთად.

ქონების გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად ქონების გადასახადის გადამხდელია პირი (აგრეთვე ლიზინგით საგნის მფლობელი პირი), რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე:

- საკუთრებაში ან ლიზინგით აქვს ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი.
 - კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა (ფაქტობრივ მფლობელობაში იგულისხმება მიწის ფაქტობრივი ფლობა ან მიწით სარგებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიწის ფლობისა და მიწით კანონიერი სარგებლობისა).
 - ფაქტობრივ მფლობელობაში ან/და სარგებლობაში აქვს გარდაცვლილი პირის საკუთრებაში რიცხული ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაქტობრივი მფლობელის მიერ ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარით, ქირით, უზურფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.
- ქონების გადასახადის გადამხდელია აგრეთვე პირი, რომელიც ითვლება ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტის ცრუმაგიერ მფლობელად.

საწარმოსთვის ან ორგანიზაციებისთვის დაბეგვრის ობიექტებზე გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება საშუალო წლიური საბაზანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

საწარმოსთვის ან ორგანიზაციისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთი დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით და დგინდება ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში.

- საწარმოსთვის ან ორგანიზაციისთვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარის ოდენობით.

ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი და დეკლარაციის ჩაბარება ხდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე.